საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

კომუნიკაციის სტრატეგიის დოკუმენტი

2019-2020 წლები

ევროპული ინტეგრაცია არის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი. ამ პროცესში საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი წარმატება იყო 2014 წლის 27 ივნისს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერა. ევროკავშირთან პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების გაღრმავება დიდწილად დამოკიდებულია ასოცირების შესახებ შეთანხმების წარმატებულ განხორციელებასა, მათ შორის ღრმა და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესრულებაზე.

აღმოსავლეთ პარტნიორობა წარმოადგენს ფორუმს, რომელიც მიზნად ისახავს გააძლიეროს პოლიტიკური და ეკონომიკური სავაჭრო ურთიერთობები აღმოსავლეთ ევროპის 6 პარტნიორ სახელმწიფოსთან. აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ფორმირება მოხდა ამ 6 აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოში, რაც მიზნად ისახავს ქვეყნებში როგორც ევროპული რეფორმების მხარდაჭერას, ისე თავად სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას. საქართველოს ეროვნული პლატფორმა არა მხოლოდ ასოცირების პროცესში არამედ ყველა ტიპის ევროპულ რეფორმებში აქტიურად მიიღებს მონაწილეობას.

კომუნიკაციებსა და ხილვადობას სტრატეგიის დოკუმენტი ითვალისწინებს განმახორციელებელი ორგანიზაციისთვის საცნობარო სახელმძღვანელოს შექმნას, რომელიც ადგენს მიდგომებს, საქმიანობასა და ინსტრუმენტებს, რათა განხორციელდეს თანმიმდევრული და სისტემური კომუნიკაციები სამიზნე აუდიტორიასთან პროექტის მიმდინარეობის პერიოდში. იგი ითვალისწინებს დაგეგმილი აქტივობების განხორციელებას, წარმატებული ადვოკატირების კამპანიის უზრუნველსაყოფად, ასევე მიზნად ისახავს საქართველოს ეროვნული პლატფორმის საჯაროობის ზრდას, რაც გულისხმობს ყურადღება მიაქცევასა და შეაფასებას კოალიციის საქმიანობისა და მიღწევების თაობაზე.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისა და შესაბამისის სამიზნე ჯგუფების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია ჩამოყალიბდეს ერთიანი კომუნიკაციის სტრატეგიის დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს პროექტის მიხედვით დაგეგმილი აქტივობების სრულფასოვან და მიზანმიმართულ განხორციელებას. სტრატეგია შედგება სხვადასხვა კომპონენტისგან. ეს გულისხმობს თითოეული სამიზნე აუდიტორიისთვის საერთო და

კონკრეტულ ამოცანებს. დოკუმენტში აღწერილია ძირითადი გზავნილები, რომლებიც შესაბამისი არხების მეშვეობით უნდა გადაეცეს მიზნობრივ ჯგუფებს. საქართველოს ეროვნული პლატფორმის ყველა სამუშაო ჯგუფი თემატურად ინაწილებს ადვოკატირების პრიორიტეტებს, რის შედეგადაც ხდება თითოეული ჯგუფისთვის წლიური სამოქმედო გეგმის შემუშავება.

ადვოკატირებისა და კომუნიკაციის გეგმა ეფუძნება საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრების საერთო ინტერესის სფეროებს და პრიორიტეტულ მიმართულებებს, რომელიც განსაზღვრულია ევროინტეგრაციის პოლიტიკის პროცესში. გარდა ამისა პლატფორმის საქმიანობა ეხმიანება ქვეყანაი მიმდინარე პოლიტიკური პროცესებს.

კომუნიკაციის გეგმა ითვალისწინებსსაქართველოს ეროვნული პლატფორმის სტრუქტურული ერთეულების (მაგ., სამუშაო ჯგუფების, საკოორდინაციო საბჭო და სამდივნო) მიერ კონსოლიდირებული ქმედების განხორციელებას შემდეგ ძირითად მიმართულებებში:

1. საქართველოს ეროვნული პლატფორმის საქმიანობის რეგულარული მონიტორინგი და შეფასება და მისი მიღწევები;
2. ადვოკატირების სამოქმედო შედეგების რეგულარული შეფასება
3. საქართველოს ეროვნული პლატფორმის რეპუტაციის გაზრდა, მისი პოზიციების გაძლიერება შესაბამისი სტრუქტურებისა და სხვა ფორმატებში დაარსებული თანამშრომლობის ფარგლებში.
4. მუდმივი გაძლიერება და გაფართოება პროფესიული კავშირების ევროპასთან და აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში დაინტერესებულ მხარეებთან.
5. საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრთა შიდა კომუნიკაციის გაძლიერება, რაც კოალიციის ეფექტურობის გაზრდას უწყობს ხელს.

სამიზნე აუდიტორიისადმი ფართო ურთიერთობის უზრუნველსაყოფად, საკომუნიკაციო საშუალებებისა და არხების იდენტიფიცირებისას გამოყენებული იქნება კომპლექსური მიდგომა. შეტყობინებების მიწოდება განხორციელდება შემდეგი საშუალებებით:

1. პირდაპირი, პირისპირ კომუნიკაცია (დარგობრივი შეხვედრები, კონფერენციები, სამუშაო შეხვედრები და ა.შ.)
2. ტრადიციული მედიის საშუალებით (ტელევიზია, ბეჭდური მედია, საინფორმაციო სააგენტოები)
3. სოციალური მედია და ვებ-გვერდი

საკოორდინაციო საბჭო, როგორც საქართველოს ეროვნული პლატფორმის მთავარ მმართველ ორგანო, მიიღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რომელი მექანიზმებით უფრო ეფექტურად განხორციელდება დაგეგმილი ადვოკატირების აქტივობები.

აქტივობები, რომლებიც განხორციელდება ეროვნული პლატფორმის მიერ ადვოკატირების კამპანიის წარმოების პროცესში:

Target **მიზანი**	**Target audience** **სამიზნე აუდიტორია**	**Activity** **აქტივობები**	**Indicator** **ინდიკატორი**	**Message** **გზავნილები**
ინსტიტუციონალური თანამშრომლობა ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებასთან და საქართველოს პარლამენტთან	ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება საქართველოს პარლამენტი საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციები	ერთობლივი სამუშაო შეხვედრები დარგობრივი შეხვედრები საკანონმდებლო თანამშრომლობა ყოველწლიური მაღალი დონის კონფერენცია მედია აქტივობები	სამინისტროებთან ჩატარებული დარგობრივი შეხვედრების რაოდენობა პარლამენტში წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადებების რაოდენობა	სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის გაზრდა პოლიტიკის შემუშავების პროცესში

ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე საქართველოს ეროვნული პლატფორმის პოზიციების განმტკიცება	ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება პლატფორმის წევრი ორგანიზაციები, მათ შორის რეგიონალური ორგანიზაციები ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობით ინტერესებული მხარეები აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი	აქტუალურ საკითხებზე განცხადებების წარმოება თემატური კამპანიების ორგანიზება აღმოსავლეთ პარტნიორობის პლატფორმებისა და პანელებისთვის პოზიციის ქაღალდების მომზადება. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის სამუშაო ჯგუფების, აღმოსავლეთ პარტნიორობის პლატფორმებისა და პანელების და სხვა ფორმატებში მონაწილეობის მიღება. ერთობლივი სამუშაო შეხვედრები ევროკავშირი-საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა /	განცხადებების რაოდენობა თემატური კამპანიების რაოდენობა პოზიციის დოკუმენტების რაოდენობა შეხვედრების რაოდენობა, რომელშიც პლატფორმის წევრებმა მიიღეს მონაწილეობა ჩატარებული ერთობლივი	საქართველოს ეროვნული პლატფორმა არის მნიშვნელოვანი მოთამაშე კარგი რეპუტაციათა და შესაბამისი ექსპერტიზით გზავნილები რომლებიც ერგება კონკრეტულ სიტუაციებს / კამპანიებს

		პროფკავშირების / დამსაქმებელთა ასოციაციებთან	შეხვედრების რაოდენობა	
საქართველოს ეროვნული პლატფორმას საჯაროობისა და საჯარო ურთიერთობის გაზრდა	ტრადიციული მედია, მათ შორის რეგიონალური მედიასაშუალებები სოციალური მედია პლატფორმის წევრი ორგანიზაციები, მათ შორის რეგიონალური ორგანიზაციები	საქართველოს ეროვნული პლატფორმის საქმიანობის, მათ შორის, წარმოებული განცხადებების შესახებ ინფორმაციის რეგულარული გამოქვეყნება რეგიონებში საქართველოს ეროვნული პლატფორმის ქსელის გაფართოება, ახალი წევრების მოზიდვა	მედიაში გავრცელებული სტატიების, ინტერვიუების რაოდენობა. ახალი წევრების რაოდენობა ჩატარებული შეხვედრებისა და დამსწრეების რაოდენობა	საქართველოს ეროვნული პლატფორმა არის მნიშვნელოვანი მოთამაშე კარგი რეპუტაციათა და შესაბამისი ექსპერტიზით

		საქართველოს ეროვნული პლატფორმის რეგიონალური წარმომადგენლების მიერ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება		

სამიზნე ჯგუფები

სირთულისა და ქმედების მნიშვნელობის მიხედვით, მნიშვნელოვანია, რომ უზრუნველყოფილი იყოს სამიზნე აუდიტორიასთან კომუნიკაცია არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

გამოვლინილი სამიზნე აუდიტორია:

Within Georgia
the members of the Georgian National Platform საქართველოს ეროვნული პლატორმის წევრი ორგანიზაციები
State Agencies (Line ministries, parliamentary committees, local authorities) სახელმწიფო სტრუქტურები (სამინისტორები, საპარლამენტო კომიტეტები, ადგილობრივი ხელისუფლება
Civil Society Organisations (Non GNP members, independent experts) სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები
Media მედია
General Public of Georgia

სახოგადოება
International level
the EU institutions ევროკავშირის ინსტიტუტები
EaP CSF National Platforms and EaP CSF Secretariat აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნული პლატფორმები და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის სამდივნო

სამოქმედო კონტექსტის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი სამიზნე აუდიტორიაა სახელმწიფო უწყებები, კერძოდ სამინისტროები, შესაბამისი საპარლამენტო კომიტეტები და ადგილობრივი ხელისუფლება. ევროკავშირის მხარდაჭერით პროექტის ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ლატფორმის წევრებმა მოახერხეს თანამშრომლობის ფორმატების ჩამოყალიბება სამთავრობო სტრუქტურებთან, რამაც უზრუნველყო სტრუქტურულ და რეგულარული დიალოგის ჩამოყალიბება, რაც გამყარებულია საქართველოს მთავრობასთან და საქართველოს პარლამენტთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმებით. ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს ეროვნული პლატფორმის 2018 წლის საქმიანობის შედეგად გაფორმებული თანამშრომლობის ახალი საშუალებები, კერძოდ 2018 წლის პროექტის ფარგლებში ხელი მოეწერა 3 მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობის მემორანდუმს, რომელიც მიზნად ისახავს ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერებას საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობისთვის, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების 372-ე მუხლის შესაბამისად, რეგიონში საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ევროპული ინტეგრაციის პროცესის შესახებ, სამოქალაქო სექტორის ჩართულობის უზრუნველყოფას ასოცირების სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში, საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის ხელშეწყობას ევროკავშირის კანონმდებლობასთან, რეგიონულ განვითარებას და რეგიონულ დონეზე თანამშრომლობას,

ასევე მოქალაქეთა ჩართულობას ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილეების მიღების პროცესში.

თანამშრომლობის ინსტრუმენტების არსებობა პირველ რიგში, მნიშვნელოვანია მდგრადობის უზრუნველსაყოფად, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია, რომ შენარჩუნდეს სათანადო კომუნიკაციები. აღნიშნულ მიზნებთან დაკავშირებით საკომუნიკაციო ამოცანებია:

• სახელმწიფო სტრუქტურების ცნობიერების ამაღლება პროექტის მიზნებსა და საქმიანობაზე

• სექტორალური შეხვედრების ფორმატით თანამშომლობის გაღრმავება, იმ საკითხებთან მიმართებით, რომელიც უკავშირდება საქართველოს ინტეგრაციის პროცესებს.

- სქართველოს პარლამენთან თანამშრომლობის ფორმატის გაძლიერება, რაც გულისხმობს, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტსა და საქართველოს ეროვნულ პლატფორმას შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, პლატფორმის წევრი ორგანიზაციების მხრიდან, კომიტეტში დაგეგმილ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით, თავიანთი რეკომენდაციების გაგზავნას. ასევე კომიტეტის მიერ აღებულ ვალდებულებას, რომ ყველა მიღებული რეკომენდაცია განიხილება და ორგანიზაციებს დაუბრუნდებათ განმარტებითი წერილი, თუ როგორ მოხდება რეკომენდაციის გაზიარება კომიტეტის მხრიდან, ან იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება ამ რეკომენდაციების გაზიარება, მაშინ რატომ არ იზიარებს კომიტეტი მათ მოსაზრებებს.

მნიშვნელოვანია მედიის ინფორმირება და დაინტერესება პროექტთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, მათ შორის ყურადღების გამახვილება საქართველოს ეროვნული პლატფორმის როლის მნიშვნელობაზე, საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში.

კომუნიკაციის ინსტრუმენტები

შეტყობინებების მიწოდება განხორციელდება შემდეგი ფორმით:

1. პირდაპირი, პირისპირ კომუნიკაციები (შეხვედრები, კონფერენციები და ა.შ.)
2. საჯაროობა - ტელევიზია, მედია, რადიო, საინფორმაციო სააგენტოები
3. ვებ-გვერდი, სოციალური მედია

4. საკომუნიკაციო საშუალებები (პრეს-რელიზები, ბუკლეტები, ბანერები)
5. სარეკლამო ნივთები

პირდაპირი, პირისპირ კომუნიკაცია შეირჩა, რადგან კლასიკური, მაღალეფექტური ინსტრუმენტია. სამოქმედო გეგმის განხორციელების პერიოდში, პროექტის გუნდი სხვადასხვა ფორმატის სხვადასხვა ღონისძიებებს აორგანიზებს შიდა და გარე კომუნიკაციებში.

იმისათვის, რომ უზრუნველყოს პლატფორმის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციების ინტენსიური ქსელისა და კოორდინაციის უზრუნველყოფა, პროექტის განხორციელებისას პლატფორმა ორგანიზებას უწევს სამუშაო ჯგუფურ შეხვედრებს , საკოორდინაციო საბჭოს სხდომებს და საერთო კრებას .

გარდა ამისა, გაიმართება სექტორალური შეხვედრეაბი , დისკუსიები, ტრიალოგები და მაღალი დონის კონფერენცია, რომელიც პროექტის ფარგლებში უზრუნველყოფს როგორც საქართელოს ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციების, ასევე ევროკავშირის, საქართველოს მთავრობის (აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანიების), და მედიის მაღალ ჩართულობას დიალოგისა და თანამშრომლობის ფორმატით.

პროექტში გაწერილი თითოეული საქმიანობა არის შესაძლებლობა, სწორად მოხდეს გზავნილების ჩამოყალიბება, უზრუნველყოფილ იყოს საკომუნიკაციო საშუალებებით მათი მიტანა სამიზნე ჯგუფებამდე.

საჯაროობა

საზოგადოების ინფორმირება მიმდინარე პროცესებზე, მათ შორის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივებზე დაბალია. ამდენად, მნიშვნელოვანია GNP- ის მიერ ორგანიზებული ღონისძიებების ფართო გაშუქება. მედია საშუალებებმა ასევე ყურადღება უნდა გაამახვილონ AA / DCFTA- ის განხორციელების პროგრესსა და გამოწვევებზე, ასევე 2020 ის დოკუმენტით გაწერილი ვალდებულებების შესრულების პროცესს.

პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის წევრები რეგულარულად მოამზადებენ განახლებულ საფოსტო გზავნილების ჩამონათვალს. მედიის წარმომადგენლები მოწვეულნი იქნებიან პროექტით დაგეგმილ ყველა მნიშვნელოვან აქტივობაზე (მაღალი დონის კონფერენცია, საერთო კრება) .

მედიასთან მუშაობა ასევე მოიცავს ელექტრონულ მედიაში სტატიების გამოქვეყნებას პროექტში გათვალისწინებულ საქმიანობაზე.

ვებ-გვერდი, სოციალური მედია

ვებსაიტი ერთ-ერთი ძირითადი და ეფექტური კომუნიკაციის ინსტრუმენტია. პროექტის გუნდი უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული პლატფორმის ვებ-გვერდის დროულად განახლებას http://eap-csf.ge/ (დაარსდა 2015 წლის ივნისში "ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს" ფინანსური მხარდაჭერით). ვებ-გვერდზე განთავსდება პროექტთან დაკავშირებული მასალები, ინფორმაცია პლატფორმის საქმიანობის შესახებ. გარდა ამისა, გამჭვირვალობისა და GNP- ის მუშაობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, საკოორდინაციო საბჭოს სხდომის ოქმები და სამუშაო ჯგუფების შეხვედრების ოქმები ხელმისაწვდომი იქნება ქართულ ენაზე.

ვებ-გვერდის პარალელურად, პროექტის თანამშრომლები პასუხისმგებელნი არიან სოციალური მედიის მუშაობაზეც, როგორც ერთ-ერთი მაღალეფექტური და თანამედროვე საკომუნიკაციო არხი. კერძოდ, სამდივნო რეგულარულად განაახლებს Facebook- ის გვერდს (https://www.facebook.com/EaP-CSF-Georgian-National-Platform-559919214104843/?fref=ts) შესაბამისი ინფორმაციებით.

საკომუნიკაციო პროდუქცია

აღნიშნული მექანიზმების გარდა, პროექტის გუნდი ასევე გამოიყენებს საკომუნიკაციო და ხილვადობის გეგმის შემდეგი ელემენტებს:

- პრეს რელიზების

პროექტის გუნდი მოამზადებს პრეს-რელიზებს ეროვნული პლატფორმის ძირითად აქტივობებთან დაკავშირებით (წლიური კრება, მაღალი დონის კონფერენცია.). პრესრელიზები უნდა გავრცელდეს ნებისმიერ ღონისძიებამდე. ისინი დაიგზავნება შესაბამისი მედია საკონტაქტო სიით. პრეს რელიზი უნდა მოიცავდეს ევროკავშირის დროშას და მასში აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საქმიანობა ხორციელდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ("ეს პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ").

ბანერები:

პროექტის გუნდის წევრები ასევე პასუხისმგებელნი არიან ბანერების მომზადებაზე, როგორც კომუნიკაციის ერთ-ერთ ეფექტურ და ხილვად პროდუქტზე. ბანერები უნდა განთავსდეს ყველა ღონისძიებაზე, გარდა შიდა შეხვედრებისა. ბანერის შეიცავს EaP CSF- ს დასახელებასა და ლოგოს, ევროკავშირის დროშას, პროექტის სახელს და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერის შესახებ განცხადებას. ყველა წარწერა კეთდება ქართულ ენაზე.

დიზაინი უნდა შეთანხმდეს აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორუმის სამდივნოს კომუნიკაციის მენეჯერთან.

ფოტოსურათები:

ფოტოსურათები, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ილუსტრაციის ინსტრუმენტი, აუცილებლად გამოიყენება პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი გუნდის მიერ. პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებებისა და აქტივობების განხორციელებების შესახებ ყველა ინფორმაციას თან უნდა ახლდეს შესაბამისი ფოტომასალები. პროექტის გუნდის წევრები უზრუნველყოფენ იმ ფოტოების შერჩევას, რომლებიც უკეთესად ასახავს საქმიანობის შედეგებსა და გავლენას და შეესაბამება იმ წერილობით ინფორმაციის რომელიც თან დაერთვება მასალებს. პროფესიული ფოტოგრაფი მიწვეულნი იქნებიან ძირითადი ღონისძიებების ფარგლებში (მაღალი დონის კონფერენცია, დარგობრივი შეხვედრები, საერთო კრება)

დონორის წინაშე წარდგენილ ანგარიშში შედის ყველა შესაბამისი ციფრული ფოტოგრაფია და აუდიოვიზუალური მასალა ასევე პროექტის ფარგლებში გამოშვებული პუბლიკაციები.

პროექტის ძირითადი საქმიანობა, ვადები და ადამიანური რესურსები

საკომუნიკაციო საქმიანობა მიზნად ისახავს სამიზნე აუდიტორიის ცნობიერების ამაღლებას. საკომუნიკაციო და ხილვადობის გეგმის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები.